

წყალსაცავების პრობლემები და მათი რეალიზაციის ღონისძიებები  
თბილისის ზღვის მაგალითზე

*ელენე ღვინიანიძე*

ელ-ფოსტა: [elene.ghvinianidze130@ens.tsu.edu.ge](mailto:elene.ghvinianidze130@ens.tsu.edu.ge)

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ი.ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

უსაფრთხო სასმელი, ირიგაციული და რეკრეაციული წყლით მოსახლეობის უზრუნველყოფა წყალმომარაგების მეურნეობის ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას წარმოადგენს. დღეისათვის, პრობლემა დიდი ხანია გასცდა ქვეყნის რომელიღაც ერთი უწყების კერძო ინტერესებს, რადგანაც იგი მნიშვნელოვნად მოიცავს, როგორც მოსახლეობის ყოველდღიური მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა და მისი ჯანმრთელობის დაცვის, ასევე ქვეყნის უსაფრხოებისა და მისი მდგრადი ეკონომიკური განვითარების მეტად აქტუალურ საკითხებს.

საქართველოში პრობლემა მნიშვნელოვანი მას შემდეგ გახდა რაც ბოლო ათწლეულში გახშირდა ადამიანის ჯანმრთელობისათვის სხვადასხვა, საშიშ დაავადებათა შემთხვევა, გაიზარდა ამოუცნობი გენეზისის ინფექციური დაავადებების რაოდენობრივი მაჩვენებლები, ახალშობილთა და მცირეწლოვანი ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა, შემცირდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა.

კომპლექსური კვლევის შედეგების საფუძველზე, სპეციალური მეთოდების, რეკომენდაციების შემუშავებისა და თბილისის წყალმომარაგების სისტემაში მათი დანერგვის გზით, შეიქმნება წყლის ობიექტების დამუშავების ბიოლოგიური, ქიმიური, ფიზიკური, მექანიკური თუ კომპლექსური ბარიერები და მეთოდები. უკანასკნელნი, მნიშვნელოვნად შეამცირებენ წყალსაცავების სხვადასხვა სახის დამაბინძურებლებით “დატვირთვას”. შესაბამისად ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში ნივთიერებებით გამოწვეულ დაავადებათა რიცხვს და ასევე სადეზინფექციო რეაგენტის-ქლორის გამოყენების დონეს.